მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

სს "თიბისი ბანკის", ს/კ 204854595, ოპერაციების მართვის მიმართულების უფროსი მადონა წულაია (პ/ნ 60001025650) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (თანახმად 2026 წლის 29 სექტემბერს გაცემული მინდობილობისა: სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 261380883, სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი: 50281440860726) წინამდებარე მინდობილობით უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკის თანამშრომლებს (შემდგომში „მინდობილი პირი") ბანკის სახელით **ერთპიროვნულად,** ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, განახორციელონ მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილებები (ქმედებები). კერძოდ:

მინდობილი პირები:
ბესიკ ბარსონიძე (პ/ნ 01026001524)
დათო თითმერია (პ/ნ 61001087084)
ლუკა მაჩაბლიშვილი (პ/ნ01024051842)
ზურაბ სუჯაშვილი (პ/ნ 01020001418)
ბექა სუჯაშვილი (პ/ნ 01020012118)
ილია სუჯაშვილი (პ/ნ 01019017859)
ლაშა ტალიაშვილი (პ/ნ01005030351)

დელეგირებული უფლებები:
მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ბანკის წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიაში და სხვა შესაბამის დაწესებულება-ორგანიზაციებში/სამსახურებში, ასევე მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ბანკის წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიაში, (მათ შორის ა(ა)იპ „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოსა და სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში. წარადგინოს ნებისმიერი სახის განცხადება (მათ შორის ნებისმიერი სახის ნებართვის ან/და თანხმობის მიღებაზე), დადოს ნებისმიერი სახის გარიგება, მოახდინოს ადმინისტრაციული წარმოების ინიცირება, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, გადაიხადოს ყველა სახის გადასახადი/გადასახდელი/მოსაკრებელი, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, გამოთქვას მოსაზრებები და დააფიქსიროს პოზიცია; ჩაიბაროს და ხელზე მიიღოს ამონაწერები, ცნობები, მოწმობები და სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია; ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია მისი დამოწმების დღიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მადონა წულაია

ოპერაციების მართვის მიმართულების უფროსი

ხელმოწერა _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N261483984
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.10.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**მარი ჯვარშეიშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ლევან მიქელაძის ქ. #17**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 568007575
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	97561073931626

ორი ათას ოცდაექვსი წლის ოც ოქტომბერს, ჩემთან, ნოტარიუს, მარი ჯვარშეიშვილთან, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #17 გამოცხადდა, მადონა წულაია (დაბადებული 26.04.1984 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, სიმონ ჯანაშიას ქუჩა, N 23, ბინა 3, პ/# 60001025650). მან წარმომიდგინა წინამდებარე მინდობილობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ქმედუნარიანობა შევამოწმე და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ მან პირადად ჩემი თანდასწრებით შეასრულა თავისი ხელმოწერა წინამდებარე მინდობილობაზე, რასაც ვამოწმებ.

მინდობილობის ერთ გვერდზე, სამ ეგზემპლარზე ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებისთვის გადახდილია საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის #507-ე „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად 18.00 (თვრამეტი) ლარი + დღგ 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა + 5.00 (ხუთი) ლარი, იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი მარი ჯვარშეიშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


GEORGIA. NOTARY MARI JVARSHEISHVILI
6000115237
ნოტარიუს მარი ჯვარშეიშვილი